ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს ,,GREEN LINE COMPANY''

საფუძველი: 28.11.2013წ 12/13332250-16

მისამართი: ქ.თბილისი, ტ.ტაბიძის ქ. №56

საკ.კოდი: 01.14.11.055.010

პროექტის შეთანხმების ბრძანება: 11.11.2011წ №01/3466

მშენებლობის ნებართვა: 11.11.2011წ №ნ/3636-1

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. **III კლასი**

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (22.01.2014) დადგინდა:

,,4-1'' ფასადზე: -2.10 ნიშნულზე ,,4-3'' მონაკვეთში კარი გაუქმებულია. ,,3-2'' მონაკვეთში გაუქმებულია დაბალი კედლები და შემცირებულია საფეხურების რაოდენობა. ,,4-4'' და ,,1-1'' ღერძთან მოწყობილია კედლები. ±0.00 ნიშნულზე ,,4-1'' მონაკვეთში მოწყობილია დეკორატიული ღესვა. ამავე ნიშნულიდან +13.20 ნიშნულის ჩათვლით მოაჯირები შესავსებია ტროსებით. +17.70 ნიშნულის ქვეშ ,,4-1'' მონაკვეთში პარაპეტის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ,,3-2'' მონაკვეთში მოწყობილია ღიობები გისოსით. ასევე ,,3-3'' ღერძთან სამანქანოსთან მოწყობილია შახტა ღიობებით. +19.20 ნიშნულზე გადახურვაზე ირგვლივ მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

,,1-4'' ფასადზე: ფასადზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ფერი. ±0.00 ნიშნულზე ,,3-2'' მონაკვეთში კარი შესაღებია. ,,1-2'' მონაკვეთში ვიტრაჟები შესამინია. ,,4-4'' ღერძთან ვიტრაჟის წინ მოწყობილია დაბალი კედელი. +3.30 და +6.60 ნიშნულებზე ,,2-2'' ღერძთან მოწყობილია სატელიტური ანტენები. +14.30 ნიშნულზე ,,3-3'' ღერძთან ფანჯარა შესამინია. +17.70 ნიშნულზე ,,1-4'' მონაკვეთში შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე, ხოლო ,,3-2'' მონაკვეთში მოწყობილია ტვირთის ამწევი მექანიზმი.

,,თ-გ'' ფასადი შესაღებია.

,,გ-თ'' ფასადზე ,,თ-თ'' ღერძთან მოწყობილია კონდიციონერი.

-2.70 ნიშნულზე და მის ზემოთ ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა და გაზრდილია გაბარიტი. ,,2-2'' და ,,ბ-ბ'' ღერძების კვეთაზე მოწყობილია ბეტონის დაბალი კედელი. ,,1-3'' მონაკვეთში ,,ბ-ბ'' ღერძთან მოწყობილია გრუნტი, ხოლო ,,2-3'' მონაკვეთში ,,ბ-ბ'' ღერძთან მოწყობილია პანდუსი და დაბალი კედელი. ,,2-3'' მონაკვეთში შემცირებულია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა. ±0.00 ნიშნულზე ,,თ-თ'' ღერძთან ,,3-2'' მონაკვეთში კარი გადმოწეულია წინ. +9.90 და +13.20 ნიშნულებზე ,,გ-გ'' ღერძის გარეთ მოწყობილია დახრილი რიგელები. +12.60 ნიშნულზე ,,4-3'' მონაკვეთში მოწყობილია აივნის ფილა და მოაჯირი, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი. ამავე მონაკვეთში ვიტრაჟი კედლით გადმოწეულია წინ, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი 9მ^2-ით. +13.20 ნიშნულზე ,,1-2'' მონაკვეთში ,,დ-დ'' ღერძთან მოწყობილია შიდა ლითონის კიბე. ,,2-3'' მონაკვეთში შემცირებულია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა. +16.50 ნიშნულზე მოწყობილია შახტები. ამავე ნიშნულის ჩათვლით ,,ე-ე'' და ,,3-3'' ღერძების კვეთასთან მოწყობილია მსუბუქი ლიფტი, რის ხარჯზეც ფილებში მოწყობილია ღიობი და შემცირებულია ფართი 1.5მ^2-

ით. +16.50 ნიშნულზე ,,1-2" მონაკვეთში ,,დ-დ" ღერძთან მოწყობილია კიბის ღიობი, რის ხარჯზეც შემცირებულია ფართი 3მ^2-ით. სამანქანოს გვერდებზე საჩრდილობლის ქვეშ მოწყობილია ვიტრაჟები, რის ხარჯზე გაზრდილია ფართი. დამატებით მოწყობილია საყვავილეები და სავენტილაციო შახტები. ,,2-3" მონაკვეთში კიბის ღიობში მოწყობილია ფილა რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი 4მ^2-ით. ,,ე-ე" ღერძზე შეცვლილია პარაპეტის ფორმა და გაბარიტი. ამავე ღერძის გარეთ ,,4-2" მონაკვეთში მოწყობილია აივნის ფილა მოავჯირით, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი.

ფასადები ნაწილობრივ შესაღებია. ,,ა-თ" და ,,თ-ა" ფასადებზე გაუქმებულია ხის და მილკვადრატების ტიხრები. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი და რაოდენობა. მოწყობილია წყალშემკრები მილები, გამწოვები და წყლის გამაცხელებელი კარადები. ,,ა-თ" და ,,თ-ა" ფასადებზე მინაბლოკების გაბარიტი და მდებარეობა შეცვლილია. ,,2-3" და ,,3-2" მონაკვეთებში სადარბაზოს კარები შესამინია. ტერიტორიის მოწყობა და რელიეფის დონე შეცვლილია. ,,გ-გ" ღერძის გარეთ მოწყობილია აივნებზე მოწყობილია საფეხურები. ამავე ღერძის გარეთ გაუქმებულია არსებული შენობები.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია ლიფტის ტექნიკური მზდადყოფნისა და მიღების აქტი.

შეამოწმა _____ გ. ბაღაშვილი

შეამოწმა _____ დ. მანჯგალაძე